Diana Tkebuchava
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
Doctor of Philology (Media Studies), Professor,
Academic Research Coordinator at BRAMS Institute

DARK SIDE OF MASS COMMUNICATION: NOAM CHOMSKY'S SOCIAL MANIPULATION THEORY AND ITS DEONTOLOGICAL ASPECTS

(Abstract)

KEYWORDS: Deontology, Manipulation, Oppression, Implosion, Psyche

Professor Noam Chomsky, a highly influential American thinker known as the "father of modern linguistics," is a philosopher, political analyst, and public intellectual. He was a professor at the Massachusetts Institute of Technology (MIT) for many years and is now Emeritus at the University of Arizona. Chomsky systematically examines how mass communication and media can be manipulated by authorities to shape public opinion. He highlights the darker side of these practices and the methods of brainwashing used by various institutions.

The purpose of the three branches of government, as well as the Fourth Estate, is not to manipulate public opinion or brainwash the population. Instead, these institutions exist to safeguard society from such deviations, support its natural development, promote peaceful coexistence among people

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

(nations, countries, and states), and develop and regulate relevant legislation. When such threats arise, it is the government's direct responsibility to prevent them. Additionally, upholding ethical standards in the media and professional conduct based on deontology is also crucial.

Professor Chomsky has identified a theory of manipulation that includes ten methods: direct attention, generate a problem and propose a solution, introduce changes gradually, postpone changes, talk to the public as to a child, focus on emotions rather than on rationality, keep people ignorant, promote mediocrity, make people feel guilty, and get to know people better than they can know themselves.

The article examines each of these methods, provides relevant examples, and draws parallels between Georgia and the United States. Ultimately, the author concludes that both upright political activities and the actions of the Fourth Estate should be grounded in ethical and aesthetic values.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დიანა ტყებუჩავა

https://orcid.org/0000-0002-4337-3259
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ბრამსის ინსტიტუტის აკადემიური კვლევების კოორდინატორი

მკს მედლის მეორე, ბნელი მხარე...

(ნოამ ჩომსკის საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების თეორია და მოვლენის დეონტოლოგიური ასპექტები)

საკვანძო სიტყვები: დეონტოლოგია, მანიპულირება, ზეწოლა, იმპლოზია, ფსიქიკა

ჩვენი დროის ერთი ყველაზე გამორჩეული ამერიკელი მოაზროვნე, ლინგვისტი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკური ანალიტიკოსი, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი, ამჟამად არიზონის უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსი ნოამ ჩომსკი სისტემურად იკვლევს მკს თუ ხელისუფლებათა, ცალკეულ პოლიტიკოსთა მხრივ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების, ადამიანთა ზომბირების საშუალებებს, რითაც ამ ინსტიტუციების საქმიანობის მედლის მეორე – ბნელ მხარეს ათვალსაჩინოებს.

ცხადია, ხელისუფლების არცერთი შტოს, მითუფრო – მეოთხე ხელისუფლების დანიშნულება არაა არც საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება და, არც – ადამიანთა ზომბირება, პირუკუ, სწორედ ამ გადახრათაგან საზოგადოების დაცვა, მისი ჰარმონიული, ჰუმანური განვითარების, ადამიანთა (ხალხთა, ქვეყნების, სახელმწიფოთა) კეთილგანწყობილი, უკონფლიქტო

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

თანაარსებობისთვის ხელის შეწყობა, შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება და რეგულირებაა ყველა ამ ინსტიტუციის მიზანი და არსი. ამის მიუხედავად, რეალურია და – არცთუიშვიათი, სამწუხარო რეციდივები, რისგან საზოგადოების დაცვაც, რისი პროფილაქტიკაც როგორც ხელისუფლების სამივე შტოს დანიშნულება, მათი პირდაპირი მოვალეობაა, ასევე და, მითუფრო – მედიის ადამიანური და პროფესიული ეთიკის, ჟურნალისტური დეონტოლოგიის პრეროგატივა.

ჟურნალისტური დეონტოლოგიის ფარგლებში განიხილება ისეთი საკითხი, როგორიცაა ინფორმაციით მანიპულირება.

სიახლეებით მანიპულირება შესაძლებელია და, ეს არცთუიშვიათია. მანიპულაციის მეთოდები – ძალზე დახვეწილი და მრავალფეროვანი. მანიპულირებული, შესაძლოა, ვერც კი გრძნობდეს ამას.

უნდა ითქვას, რომ ნოამ ჩომსკი პირველი მკვლევარი არაა, ვინც ამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. ფართოდაა ცნობილი კანადელი მეცნიერის ჰერბერტ მარშალ მაკლუენის[1] იდეები, რომელთაგან უმთავრესია მკს-ს უზარმაზარი მანიპულატორული პოტენციალის აღიარება: მკს-ს შეუძლია უძლიერესი ზეგავლენის მოხდენა ადამიანის აზროვნებაზე – „ყოვლისმშთანთქავი ძალადობა“: მას უნარი აქვს ადამიანს გამოაცალოს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების შეფასების შესაძლებლობა, უფრო ზუსტად, პირადი გამოცდილება ჩაუნაცვლოს მკს-ს მიერ გავრცელებული თვალთახედვით; კომუნიკაციის იმპლოზია (შიდა აფეთქება) – ინდივიდის სიღრმისეულ, სისხლხორცეულ ფასეულობათა „აფეთქება“; ჰერბერტ მარშალ მაკლუენის თეორია კვლევის სხვა, სერიოზული

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

თემაა, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ უმთავრესს გავხაზავთ: მარშალ მაკლუენის იდეები და კონცეპციები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მკს-ს ზემოქმედების სიმძლავრეს, მის პოტენციურ შესაძლებლობებს წარმოაჩენს ადამიანური ყოფის ყოველ მხარეზე, ოღონდ, ფერები რამდენადმე გამუქებული აქვს, იმ თვალსაზრისით, რომ უპირატესად, უარყოფით ზემოქმედებას გულისხმობს. რაც შეეხება პროფ. ნოამ ჩომსკის კონცეპციას, იგი თავის ამ ნაშრომში მანიპულირების საშუალებათა კვლევით, მათი სახეობების დადგენით, არსებითად და, თავისი დანიშნულებით საზოგადოებისთვის სასარგებლო, მისი ჰუმანური, პროგრესული განვითარების ხელისშემწყობი პოლიტიკური თუ მედიამოღვაწეობის შესაძლო გადაცდომებისგან საზოგადოების დაცვას ისახავს მიზნად.

ნოამ ჩომსკი საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების რამდენიმე ხერხს, მეთოდს გამოკვეთს.[2]

გავაანალიზებთ ზოგიერთ მათგანს:

1.ყურადღების გადანაცვლება [diract attention]

საზოგადოების მართვის ძირითადი ელემენტი ადამიანთა, მოქალაქეთა ყურადღების გადატანაა სერიოზული პრობლემებიდან და პოლიტიკისა და ეკონომიკის მმართველი წრეების მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათაგან ნაკლებმნიშვნელოვანი შეტყობინებებით მუდმივად გაჯერებულ ინფორმაციულ სივრცეზე: „ყურადღების გადანაცვლების მეთოდი მოქალაქეებს უსპობს სერიოზული ცოდნის მოპოვების უნარსა და სურვილს; თანამედროვე ფილოსოფიური მიმდინარეობების, მოწინავე მეცნიერების, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის,

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ნეირობიოლოგიის, კიბერნეტიკისა და მისთ. დარგებში. ამის სანაცვლოდ ინფორმაციული ველი გადატვირთულია სპორტის, შოუბიზნესის, მისტიკისა და მგავსი სიახლური ინფორმაციით, რელიქტურ ადამიანურ ინსტინქტებზე დაფუძნებული ეროტიკით, პორნოგრაფიითა თუ ყოფითი საპნის ბუშტის სიუჟეტებითა და იოლი და სწრაფი გამდიდრების საეჭვო საშუალებებით.“[2]

შესაბამისი ნიმუშების პოვნა სირთულეს არ წარმოადგენს არათუ ამერიკულ, არც (მითუფრო) თანამედროვე ქართულ მედიაში, სადაც დემოკრატიის ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი – სიტყვის, გამოხატვის თავისუფლება არცთუიშვიათადაა ჩანაცვლებული „სიტყვის თავგასულობით“, რაზეც, ამერიკული დემოკრატიის გარიჟრაჟზე, უკვე ლამის ორსაუკუნენახევრის წინ წერდა მარკ ტვენი თავის პუბლიცისტურ შედევრში „პრესის თავგასულობა“[3] და, რასაც, ანალოგიურ ვითარებაში გულისტკივილით ეხმიანება აკაკი ბაქრაძის არანაკლები ოსტატობითა და კრიტიკული აზროვნებით ნაკარნახევი, მახვილი აქცენტებით დაყურსული პუბლიკაცია „სიტყვამ ღირსება დაკარგა“:[4] „ყველაზე სავალალო ის არის, რომ ხალხიც აბუჩად იგდებს სიტყვას. არც ხალხისთვის აქვს რაიმე ფასი და ღირებულება მას. ხალხმა იცის, რომ მასმედია ტყუის... ამ უპასუხისმგებლობამ თავაშვებულობის ისეთი პარპაში შექმნა, რომ ბეჭდვითი სიტყვა მასხარაობად იქცა.“[4]

ჭეშმარიტად, ჩვენმა „მღვრიე დრომ“ დასვა რიტორიკული კითხვა: მაინც რა უფრო სჭირდება დღევანდელ საზოგადოებას, მეოთხე ხელისუფლება თუ – „მეორე უძველესი“? ასე რომ, ამერიკული დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების გარიჟრაჟზე მარკ ტვენის

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

მიერ დასმული პრობლემა - „პრესის თავგასულობა“ დღესაც აქტუალურია.[5]

თავისუფალი მედიის უფლებებით სპეკულირების პრობლემაზე ამერიკული ლიტერატურის აღიარებული მეტრის, მარკ ტვენის კონცეპცია ასეთია: „ჩვენი პრესა თავისუფალია. მე რომ მკითხონ, ზედმეტად თავისუფალიც. მას შეუძლია გააჩნდეს ყველაზე საშინელი შეხედულებანი, გააშავოს და მიწასთან გაასწოროს მისთვის არასასურველი საზოგადო მოღვაწენი თუ კერძო პირები. საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც გარკვეულ ჩარჩოში უნდა ჩააყენოს იგი, პრესამ აქეთ დაიმორჩილა და თავის საძაგელ დონეზე დაიყვანა. არსებობენ კანონები, რომლებიც იცავენ პრესის თავისუფლებას, მაგრამ ისეთი კანონი არ არსებობს, მოქალაქეები რომ დაიცვას პრესისგან“[3]. რომელიმე თანამედროვე გამოცემამ ეს სტრიქონები ხელმოუწერლად რომ შემოგვთავაზოს, იგი საოცრად თანამედროვედ, აქტუალურად გაიჟღერებს. უამრავი კონკრეტული ნიმუში, გახმაურებული სკანდალური პუბლიკაცია თუ ტელეგადაცემა გამოდგება ზემოთქმულის დასტურად.

თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში ყოველთვის იარსებებს ე.წ. „ყვითელი“ მედიაცა და ჟურნალისტური ელიტაც, მაგრამ ღირსეულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი აზრი სწორედ ელიტარული, ზნეობრივი ჟურნალისტიკის მხარესაა. ამერიკაში დიდი ხანია არსებობს (იქ წარმოიშვა, როგორც კარგადაა ცნობილი!) ყვითელი პრესა და იგი ყოველ ნაბიჯზე იყიდება, მაგრამ ის კი არ ქმნის საზოგადოებრივ აზრს, არამედ – „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“, „ნიუსუიქი“, თავისი ბრწყინვალე, უგანათლებულესი და მაღალზნეობრივი ჟურნალისტებითა და უზარმაზარი ტირაჟით. ისინი (მათი

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

უმრავლესობა პულიტსერის პრემიის ლაურეატია, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ქალამნისტი პოლ კრუგმანი კი, ნობელის პრემიის ლაურეატია საერთაშორისო ეკონომიკის დარგში), სწორედ ამაღლებულის, ზნეობრივის, ეთიკურისა და ესთეტიკურის დამკვიდრებას ესწრაფვიან, საზოგადოების, საკუთარი ქვეყნის, სამყაროს პროგრესულად განვითარებას ემსახურებიან...

ტყუილად არ უქადაგებენ სტუდენტ-ჟურნალისტებს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში: „ჟურნალისტი კეისრის ცოლივით ეჭვმიუტანელი უნდა იყოსო“, ამაზე აუცილებლად მართებთ ფიქრი ჩვენი გაზეთებისა და ჟურნალების, ტელევიზიათა დიდ ნაწილს, ჟურნალისტებს, ზოგადად, თორემ ყველანი ვართ იმ ძალზე უსიამოვნო პროცესის მოწმენი, რასაც ჟურნალისტის პროფესიის პრესტიჟის დაცემა, ჟურნალისტის პიროვნების დისკრედიტაცია ქვია.

მედიამოღვაწეობის არსი, უპირველესი ამოცანა ხომ არისტოტელესეული „სიმართლის დამკვიდრებაა სიკეთის სახელით“[6] და არა – სიყალბე, ბოროტების სახელით, რაიც ჩვენი რთული და უძველესი პროფესიის „მედლის მეორე“, ბნელი მხარეა!

2. სქემა: პრობლემა–რეაქცია–გადაწყვეტილება, [generate a problem and propose a solution] მანიპულირების მომდევნო მეთოდია ჩომსკის კონცეპციაში, როცა იქმნება მოსახლეობის გარკვეულ რეაქციაზე გათვლილი პრობლემური „სიტუაცია“, საიმისოდ, რომ საზოგადოებამ თავად მოითხოვოს მმართველი წრეებისთვის სასურველ ღონისძიებათა გატარება.

ვთქვათ, ქალაქებში ძალადობის სპირალის ამოქმედება ან, სისხლიანი ტერაქტების ორგანიზება, რათა მოქალაქეები იოლად მიემხრონ კანონების

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

შემოღებას უსაფრთხოების ზომების გასაძლიერებლად და სამოქალაქო თავისუფლების შეზღუდვის პოლიტიკის გატარებას.

ან კიდევ – რაიმე ეკონომიური, ტერორისტული ან ტექნოლოგიური კრიზისის ხელოვნურად გამოწვევა, რომ მოსახლეობა იძულებული გახდეს თავის გონებაში დაუშვას კრიზისის სალიკვიდაციოდ საჭირო ზომები, თუნდაც საკუთარი სოციალური უფლებების შეზღუდვის ხარჯზე, როგორც „გარდაუვალი უბედურება“.[2]

მაგრამ, უნდა გვესმოდეს, რომ კრიზისები თავისით არ იბადებიან. და, მანიპულირების პრობლემაც, ცხადია, არაა მხოლოდ ამერიკული მოვლენა.

პუტინის „პოლიტიკა“: „რუსი მოსახლეობის დაცვის“ საბაბით შეჭრა უკრაინასა და საქართველოში (2008, 2014, 2022 წ.წ.), 2022 წლის ზამთარში ყაზახეთში განვითარებული კონფლიქტი და მისთ., ტერაქტებით ხელისუფლებაში მოსული დიქტატორის ხელწერაა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური პრობლემებიდან საკუთარი გაღატაკებული მოსახლეობის მზერის გადასანაცვლებლად.

ნოამ ჩომსკის თეორიის მიხედვით:

3. თანმიმდევრულობა, ცვლილებათა ეტაპობრივად დანერგვა [introduce changes gradually] მანიპულირების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის თანახმადაც ამა თუ იმ არაპოპულარული ზომის მისაღებად (გასატარებლად) საკმარისია მისი თანდათანობით, ნელ-ნელა, ოღონდ, სისტემატურად, დღითი დღე, წლიდან წლამდე დანერგვა. როგორც თავად წერს: „სწორედ ასე მოახვიეს გლობალურად თავს საზოგადოებას პრინციპულად ახალი სოციალ-ეკონომიკური პირობები (ნეოლიბერალიზმი) 1980-1990-იან წლებში. სახელმწიფოს

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ფუნქციის მინიმუმამდე დაყვანა, პრივატიზაცია, უნდობლობა, არასტაბილურობა, მასობრივი უმუშევრობა, ხელფასი, რომელიც უკვე არასაკმარისია ღირსეული ცხოვრებისათვის... ეს ყველაფერი რომ ერთბაშად მომხდარიყო, საქმე უეჭველად რევოლუციამდე მივიდოდა, თანდათანობით თავსმოხვეული კი ჟამიდანჟამს მშვიდობიანი აქციებით ან, კრიტიკული პუბლიკაციებით იწყება ქმედითობაშესუსტებულ ან – ქმედითობადაკარგულ მედიაში და, შედარებით უმტკივნეულოდ მთავრდება," – წერს ნოამ ჩომსკი. ამ დებულების არგუმენტად უთოდ გამოდგება გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ქალამნისტის პოლ კრუგმანის სტატიები[7],

4. მანიპულირების მომდევნო მეთოდი – ცვლილებათა გადავადება [postpone changes], ამერიკელი მეცნიერის თვალსაზრისით, არაპოპულარული გადაწყვეტილების საზოგადოებაში დანერგვის კიდევ ერთი ხერხია და იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების თვალში იგი „ავადმყოფურ აუცილებლობად" წარმოაჩინო და მოცემულ მომენტში მიაღწიო მოქალაქეთა თანხმობას მის მომავალში განხორციელებაზე. გაცილებით იოლია შეთანხმების მიღწევა რაღაცაზე სამომავლოდ, ვიდრე – ახლავე, დღესვე.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ახლავე არ ხდება. მეორეც – ადამიანები მასობრივად მუდამ გულუბრყვილოდ იმედოვნებენ, რომ „ხვალ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება" და იმ მსხვერპლს, რომელსაც მისგან ითხოვენ, თავს აარიდებენ, გადაურჩებიან. ეს დიდ დროს უტოვებს მოქალაქეებს

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ცვლილებებთან შესაგუებლად და, როცა დრო მოვა, მათ მორჩილად მისაღებად.“[2]

5. მანიპულირების მომდევნო, არანაკლებად მავნე მეთოდია ხალხის ინფანტილიზაცია, მასთან საუბარი, როგორც ბავშვებთან [talk to the public as to a child], როგორც პროფ. ჩომსკი უწოდებს: ფართო საზოგადოებაზე გათვლილი პროპაგანდისტული გამოსვლების დიდ უმრავლესობაში გამოიყენება ისეთი დებულებები, პერსონაჟები, სიტყვები და ინტონაცია, თითქოს ესაუბრებოდნენ განვითარებაშეფერხებულ სკოლის მოსწავლეებს ან კიდევ, გონებრივად არასრულფასოვან ინდივიდებს; რაც უფრო ცდილობს ესა თუ ის ორატორი მსმენელის შეცდომაში შეყვანას, მითუფრო უხვად იყენებს მეტყველების პრიმიტიულ საშუალებებს. რატომ ხდება ასე? თუ ვინმე ადამიანს ისე მიმართავს, როგორც 12 წლის მოზარდს, შთაგონების ძალით მისი პასუხი ან რეაქციაც მოკლებული იქნება კრიტიკულ აზროვნებას.

მანიპულირების ნაირნაირ საშუალებათა ნიმუშები აშკარა და თვალსაჩინოა ამერიკული ფილმის: „სტივენ გლასის თაღლითობა (აფიორა)“[8] პერსონაჟის შემთხვევაში. ფილმში გამოიკვეთა ამგვარ ჟურნალისტთა პოპულარობის მირაჟულობა და დღემოკლეობა. სამწუხაროდ, არცთუ ცოტა ჟურნალისტი იყენებს ფაქტებით, ინფორმაციით მანიპულირების ამ პრიმიტიულ მანერას, რაც პროფესიული ხელმრუდობაა და, სხვა არაფერი. რაღა თქმა უნდა, ამგვარი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ცივილიზებულ დროსა და სახელმწიფოში ჟურნალისტი ისჯება და, არცთუიშვიათად, მას არა მხოლოდ სამსახურის, არამედ – პროფესიის დატოვებაც უწევს, ვინაიდან სახელგატეხილი, ნდობადაკარგული, მატყუარა

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ჟურნალისტი ნონსენსია. ასე ხდება ამ ფილმშიც. ოღონდ, რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი ბევრად რთული და არცთუ ყოველთვის სამართლიანია. მითუფრო, რევოლუციურ, მღვრიე, რთულ პერიოდებში ამა თუ იმ ერის, ხალხის ცხოვრებისა, „დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების“ სახელით სპეკულირების ნიმუშებს უხვად გვთავაზობს რეალობა, თუმცა ამის განმსჯელი, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებს მცირე ჯგუფების გარდა, არავინაა.

6. მანიპულირების პოპულარული მეთოდია მასის ემოციებზე ფოკუსირება, ზეწოლა [focus on emotions rather than on rationality], მედიისა თუ ხელისუფლების, ან ცალკეული პოლიტიკოსის მხრიდან საზოგადოების „ემოციების მართვა“: ემოციებზე ზემოქმედება წარმოადგენს ნეიროლინგვისტური პროგრამირების კლასიკურ ხერხს, რომელიც მიმართულია ადამიანთა რაციონალური აზროვნების, ანალიზის, საბოლოო ჯამში – მომხდარის კრიტიკული გააზრების უნარის ბლოკირებისკენ.

მეორეს მხრივ, ემოციური ფაქტორის გამოყენება ქვეცნობიერისკენ კარის შეღების საშუალებას იძლევა საიმ**ი**სოდ, რომ იქ დაამკვიდრო აზრები, სურვილები, შიშები, სიფრთხილე, იძულება ან ქცევის მყარი მოდელები. შეგონებები იმის თაობაზე, თუ რა დაუნდობელია ტერორიზმი, რა უსამართლოა ხელისუფლება, როგორ იტანჯებიან მშივრები და დამცირებულები, კადრსმიღმა ტოვებენ მიმდინარე მოვლენების, მომხდარის ჭეშმარიტ მიზეზებს. ასეთი შემთხვევების ანალიზისას, დასკვნის სახით პროფ. ჩომსკი წერს: „ემოციები – ლოგიკის მტერია“.[2] იგი უთუოდ მასების მანიპულირების, მართვის, ზომბირების

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

საშუალებად გამოყენებულ ემოციებს გულისხმობს, რაშიც ვერ შევედავებით, თორემ, რა ვუყოთ მეორე დიდი მოაზროვნის, მათემატიკოს პოიას შეგონებას: „ადამიანურ ემოციათა გარეშე არ არსებობს, არ არსებულა და ვერც ვერასოდეს იარსებებს ჭეშმარიტების ადამიანური ძიება“[9]. აქ, მკითხველი რომ არ დაიბნეს, აუცილებელია მანიპულირების ამ მეექვსე მეთოდის სახელწოდებაზე ყურადღების გამახვილება: „ემოციებზე ზეწოლა“. ემოციებზე ზეწოლის შედეგი იყო ოდიოზური კადრები ძველი ფილმებიდან, სადაც ეგზალტირებული ბრბო ჰიტლერის სადიდებლად ხელებშემართული სკანდირებს: „ჰაილ! ჰაილ, ჰაილ, ჰიტლერ“, ანალოგიური – მასის ემოციებზე ზეწოლის შედეგია ისტორიულად ცნობილი ყველა რევოლუცია, როცა გულუბრყვილო ადამიანებს მათთვის გულისამაჩუყებელ იდეებს, ლოზუნგებს აუფრიალებდნენ და საითაც სურდათ, იქეთ მიმართავდნენ მათ ემოციებს. ისეთ ლოზუნგებს, როგორიც იყო: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით,“ ან: „მიწა – გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები – მუშებს“ და მისთ. ეს ემოციის ხალხთა მასების აზროვნების მანიპულირებისთვის, დიქტატურისთვის სასურველი მიმართულებით წარმართვისკენ გამოყენების ნიმუშებია, რაც მედლის „ბნელ მხარეს“, წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, ემოცია არის უმოკლესი გზა ადამიანთა გონებისაკენ, მაშინაც, როცა მედიას, ხელისუფლებას, ან კიდევ, ცალკეულ პოლიტიკოსს ამოძრავებს კეთილშობილური მიზანი – ჭეშმარიტებას აზიაროს და მიიმხროს მოსახლეობა ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. როგორც ნებისმიერი ინსტრუმენტის, ემოციის, როგორც სიტყვიერი ზემოქმედების საშუალების ავ-კარგიანობა იმაზეა

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

დამოკიდებული, თუ ვინ რისთვის, რა მიზნით გამოიყენებს მას.

7. მოსახლეობის ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცევა [keep people ignorant]. პროფ. ჩომსკის თვალთახედვით, მანიპულირების მნიშვნელოვანი სტრატეგიაა იმის მცდელობა, რომ ადამიანებს არ ჰქონდეთ მათი მართვისა და დამორჩილებისათვის გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების ცოდნა, გაგების უნარი.

განათლების ხარისხი, რომელსაც საზოგადოების დაბალ ფენებს სთავაზობენ, იმდენად მწირი უნდა იყოს, რომ მათ ვერასოდეს დაძლიონ განსხვავება მაღალი ფენების განსწავლულობასა და საკუთარ გაუნათლებლობას შორის. ჯერ კიდევ როდის ბრძანა დიდმა მელორ სტურუამ სხვა ვითარებათა გამო, ჰარვარდელი პროფესორების, მისი ნარკვევის რეალური პერსონაჟების პირით:

„– დიახ, დღევანდელი ჰარვარდი ნაკლებად მოგვაგონებს აბელიარის ეპოქის სორბონას, რომელიც სოფიზმებით იყო გატაცებული. დიდი ხანია არისტოტელეს ლოგიკა ბრძოლის ლოგიკამ დათრგუნა;

– სამწუხაროდ, კოლეგა, ასეა, სამწუხაროდ!

ეს, ჰარვარდის ჰოლში კედელსმიყრდნობილი ორი პროფესორი უზიარებდა ხმადაბლა და სევდიანად ერთმანეთს შთაბეჭდილებებს“.[10]

მანიპულირების მორიგ მეთოდად პროფ. ნოამ ჩომსკი განიხილავს:

8. უხარისხობის ხელშეწყობას [promote mediocrity]. ზოგჯერ ხელისუფლებები და, მათ კვალდაკვალ, მედიაც, ცდილობენ დაამკვიდრონ აზრი იმის თაობაზე, რომ მოდურია იყო ჩლუნგი, გაუზრდელი, მოურიდებელი. ეს ხერხი წინას მსგავსია, ვინაიდან თანამედროვე სამყაროში

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ნებისმიერ სოციალურ სფეროში ვლინდება უამრავი მდარე, უხარისხო რამ, დაწყებული რელიგიითა და მეცნიერებით, ხელოვნებითა და პოლიტიკით დამთავრებული.

სკანდალები, ყვითელი პრესა, უხამსობა, მაგია და ჯადოქრობა, მდარე იუმორი და პოპულისტური აქციები; ეს ყოველივე მხოლოდ ერთ რამეს უწყობს ხელს: არ დაუშვან, რომ ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა განავითარონ თავიანთი აზროვნება რეალური სამყაროს უკიდეგანო სივრცეების შესაცნობად.

9. ანალოგიურად: დანაშაულის განცდის, დამნაშავის კომპლექსის კულტივირება [make people feel guilty]. ესაა კიდევ ერთი მეთოდი – აიძულო ადამიანები ყველა უბედურების, ხელმოცარვის, წარუმატებლობის მიზეზები ეძებონ საკუთარ თავში; დაარწმუნო მათი გონებრივი შესაძლებლობების ნაკლოვანებებში, უნიჭობასა და არასაკმარის მონდომებაში. მანიპულირების ამ მეთოდს შედეგად ის მოყვება, რომ იმის ნაცვლად, დაუპირისპირდნენ უვარგის პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ სისტემას, ადამიანი თვითგანადგურებას იწყებს, ყველაფერში საკუთარ თავს იდანაშაულებს, ითრგუნება და სრულ უმოქმედობამდე, აპათიამდე მიდის.

10. და ბოლოს: ადამიანის ბუნების საუცხოო ცოდნა, საზოგადოების წევრთა ზედმიწევნით შესწავლა, როგორც მანიპულირების საშუალება [get to know people better than they can know themselves]: ბოლო ნახევარი საუკუნეა მეცნიერების განვითარებამ მიგვიყვანა მზარდი უფსკრულის წარმოქმნამდე რიგითი ადამიანების ცოდნასა და იმ მონაცემთა შორის, რასაც ფლობენ და იყენებენ გაბატონებული კლასები.

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ბიოლოგიის, ნეირობიოლოგიისა და გამოყენებითი ფსიქოლოგიის წყალობთ სისტემამ თავის განკარგულებაში მოიპოვა უახლესი, თანამედროვე ცოდნა ადამიანების შესახებ როგორც ფიზიოლოგიის, ასევე ფსიქიკის დარგში. სისტემამ შეძლო გაეგო რიგითი ადამიანების თაობაზე იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე თავად ამ ადამიანებმა იციან საკუთარ თავზე. ეს კი ნიშნავს, რომ სისტემა გაცილებით მეტ ძალაუფლებას ფლობს და მართავს ადამიანებს.

ამ მეთოდთა გამოყენების დოზები და მასშტაბები რეალობაში იმაზეა დიდწილად დამოკიდებული, თუ რამდენად ზნეობრივი, ეროვნული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელისუფლებაა ქვეყნის სათავეში და, რამდენად ეთიკური, მორალურად ჯანსაღია მედია, რომელიც „გუშაგი ნაგაზის“ ერთგულებით უნდა იცავდეს საზოგადოებას ხელისუფლების სამი შტოს შესაძლო გადაცდომათაგან და, რამდენად გრძნობს იგი პასუხისმგებლობას მედიააუდიტორიის წინაშე.

მეორეს მხრივ, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრიც მძლავრი ბერკეტია მედიის ღირსების შენარჩუნებისა, ოღონდ, ამ ყოველივეს სათავე, საწყისი სკოლებშია, განათლების სისტემის სიჯანსაღესა და სრულფასოვნებაში და, ეს პრობლემაც არაა მხოლოდ ქართული...

ლიტერატურა ▫ References

1. McLuhan, Herbert Marshall (1962). *The Gutenberg Galaxy: The Making of Typographic Man*. // Mcluhan, Herbert Marshall (1964). *Understanding Media*.

2. Skarbek, Ryszard (2019, March 8). Noam Chomsky and his Social Manipulation theory [https://en.empowerment-coaching.com/post/noam-chomsky-and-his-social-manipulation-theory].
3. მარკ ტვენი (1965). იუმორისტული მოთხრობები და პამფლეტები. თბილისი: სახელგამი, გვ. 212.
4. ბაქრაძე აკაკი (29 მარტი, 2001). სიტყვამ ღირსება დაკარგა. „დილის გაზეთი“, №69.
5. ტყებუჩავა დიანა (1999). ფიქრები ზნეობრივ ფასეულობებზე ჟურნალისტიკაში. თბილისი: გამომცემლობა „ცოდნის წყარო“.
6. ბალანჩივაძე რეზო, ტყებუჩავა დიანა (2020). კრიტიკული აზროვნება (ჟურნალისტებისათვის). თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 151.
7. იხ. პოლ კრუგმანის სტატიები: 1) Krugman, Paul (2018, April 23). We Don’t Need No Education. *The New York Times* [https://www.nytimes.com/2018/04/23/opinion/teachers-protest-education-funding.html?rref=collection%2Fcolumn%2Fpaul-krugman&action=click&contentCollection=op]; 2) Krugman, Paul (2018, June 1). Oh, What a Stupid Trade War (Very Slightly Wonkish). *The New York Times* [https://www.nytimes.com/2018/05/31/opinion/oh-what-a-stupid-trade-war-very-slightly-wonkish.html].
8. *Shattered Glass*. Directed by Billy Ray, Lions Gate Films, 2003.
9. Пойа Д. (1957). *Математика и правдоподобные рассуждения*, М., стр. 10.
10. Струа Мелор (1969). *Время: по-Гринвичу и по существу*. Москва: изд-во «Известия» [იხ.: ტყებუჩავა დიანა (2020). მედიატექსტის ბუნება: ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი. თბილისი: „უნივერსალი“, გვ. 138].
11. ტყებუჩავა დიანა (2020). მედიატექსტის ბუნება: ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი. თბილისი: „უნივერსალი“, გვ. 138.
12. Nadare, Maia (2022). *Deontology through the international media law*. Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).